



## ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში

სიმონ ჯანაშია

ასისტენტ-პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. სისტემის გამჭვირვალობის, დემოკრატიზაციის და განათლების ხელმისაწვდომობის გარდა, ერთ-ერთი მთავარი ვექტორი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. პრობლემები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მრავალია. შეთანხმება საზოგადოებაში, თუ რა არის განათლების ხარისხი, რა განაპირობებს განათლების ხარისხს, ვინ არის პასუხისმგებელი განათლების ხარისხზე და განათლების ხარისხის მხრივ რა შედეგები გვაქვს არ არსებობს. არ ჩანს კონკრეტული სტრატეგია, თუ როგორ, რამდენ ხანში და რა ინსტრუმენტებით გავაუმჯობესებთ განათლების ხარისხს. სუსტია სკოლების დონეზე ხარისხის შედეგების გაუმჯობესებისთვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურა. სკოლებისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობები ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებული არ არის.

საქართველოს სახელმწიფომ მრავალი დადებითი ნაბიჯი გადადგა განათლების სისტემის გასაჯანსაღებლად, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა განათლების უკეთეს ხარისხამდე მიგვიყვანოს. საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საყურადღებო გაკვეთილებს გვთავაზობს ამ მიმართულებით.

საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ცენტრალიზებული პოლიტიკის ცვლილების ეფექტი ძალიან მცირეა იქ, სადაც ხარისხის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობა და ინტერესი სკოლას არ აქვს. ამიტომ საჭიროა, სკოლის დონეზე მოხდეს ცვლილებების სტიმულირება და გაიზარდოს სკოლის პასუხისმგებლობა.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმატებულია, როდესაც გაცნობიერებული გვაქვს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არ გულისხმობს ხარისხის მხოლოდ შემოწმებას; ის დახმარებასთან ერთად ქმნის ერთობლივ სისტემას.

ხარისხთან დაკავშირებული საერთაშორისო კვლევები გვაჩვენებს, რომ შეუძლებელია ეფექტური ინტერვენციების შემუშავება და ამოქმედება, თუ განათლების სისტემის მოდელს გავიაზრებთ ცვლილებების კონტექსტისა და მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების გარეშე. ხარისხი რომ რეალურად გაუმჯობესდეს, საჭიროა ამოქმედდეს დივერსიფიცირებული წყაროს, ადრესატისა და მიზნის შესაბამისი დახმარების, შეფასების, კვლევის სისტემა. ეს კი გულისხმობს, როგორც მინიმუმ, მკაფიო მიზნებს, შედეგებს, ვადებს, რესურსებსა და ჩართულობის გზების არსებობას.

### შინაარსი

#### რეზიუმე

- კონტექსტი
- რა არის განათლების ხარისხი?
- რატომ არის მნიშვნელოვანი განათლების ხარისხი?
- ხარისხის კვლევის საერთაშორისო გამოცდილება
- ხარისხის მონაცემები და მათი გაზრება საქართველოში
- ხარისხის დეტერმინანტები
- ხარისხის უზრუნველყოფა
- ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემები და რეკომენდაციები

## კონტექსტი

მას შემდეგ, რაც 2004 წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში რეფორმებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო, სახელმწიფომ მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ჩამოყალიბდა განათლების სისტემის მკაფიო მიზნები. ამ მიზნების მისაღწევად შეიქმნა ახალი ინსტრუმენტები. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის მართვის სისტემა. შეიქმნა ინსტიტუციები, რომლებიც სკოლებს ამარაგებს კურიკულუმით, მასწავლებლებს ეხმარება კვალიფიკაციის ამაღლებაში, შეისწავლის მოსწავლეების მიღწევებს, შეისწავლის სკოლების ეფექტურობას, ეხმარება სკოლებს ადმინისტრაციული პრობლემების გადაწყვეტასა და ინფორმაციის დროულად მიღებასა და გაცემაში. ჩამოყალიბდა აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა განვითარების პროფესიული ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, გამოცდების ეროვნული ცენტრი. რამდენიმე მასშტაბური პროექტი, რომელიც ამ წლებში მოქმედებდა იყო პროექტი *ილია ჭავჭავაძე, საქართველოს დეცენტრალიზაციის* პროექტი, პროექტი *ირმის ნახტომი*, პროგრამა *იაკობ გოგებაშვილი* და *ინკლუზიური განათლების* პროექტი. ამ პროექტებმა საქართველოს განათლების ახალი სისტემის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნეს.

**ხარისხი რომ რეალურად გაუმჯობესდეს, საჭიროა ამოქმედდეს დივერსიფიცირებული წყაროს, ადრესატისა და მიზნის შესაბამისი დახმარების, შეფასების, კვლევის სისტემა. ეს კი გულისხმობს, როგორც მინიმუმ, მკაფიო მიზნებს, შედეგებს, ვადებს, რესურსებსა და ჩართულობის გზების არსებობას.**

შეიცვალა განათლების მართვის სისტემა, რაც, ძირითადად, გამოვლინდა სკოლის ბაზაზე მენეჯმენტის როლის გაზრდით. ამის გამოხატულებაა სკოლების ავტონომიურობის გაზრდა, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის შემცირება, ფინანსური და საოპერაციო მმართველობის ფუნქციების სკოლებისთვის დელეგირება. სკოლების ოპტიმიზაციის შედეგად გაიზარდა სისტემაში ფინანსური ნაკადების ეფექტიანობა. ვაუჩერული დაფინანსების შემოღებამ სკოლებს შორის კონკურენციის საფუძველი შექმნა. ვაუჩერების

შემოღებამ ხელი შეუწყო კერძო სექტორის ფინანსურ მდგრადობას და სისტემის დაფინანსების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ზრდას. სკოლების თვითმმართველობების ჩამოყალიბებამ, რაც, უმთავრესად, სკოლის შიგნით სამეურვეო საბჭოებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნას, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის სტიმულირებასა და დირექტორების არჩევითობას გულისხმობს, თავის მხრივ, დადებითი გავლენა იქონია შიდა გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და სკოლის პასუხისმგებლობის ზრდაზე სასკოლო თემის წინაშე. შეიქმნა განათლების რესურს-ცენტრების ქსელი, რომლის მთავარი მიზანი სკოლების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ორგანიზების, ადმინისტრაციულ და განვითარების საკითხებში დახმარებაა.

შეიცვალა განათლების შინაარსი და სწავლისა და სწავლების მიდგომები. ეროვნული სასწავლო გეგმა ინფორმაციის ათვისებასთან ერთად მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს კოგნიტური, ემოციური და სოციალურ უნარების განვითარებაზე. სწავლების ახალი ორგანიზების ფორმები მასწავლებლისგან მოითხოვს, სასწავლო პროცესის ცენტრალურ ფიგურად მოსწავლე განიხილოს. ეროვნული სასწავლო გეგმა არა მხოლოდ იძლევა ამის საშუალებას, არამედ მოითხოვს სკოლისგან თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას.

სწავლების შინაარსისა და მიდგომების შეცვლის პარალელურად, მიმდინარეობს, ერთი მხრივ, სასწავლო მასალების შეცვლა, მეორე მხრივ, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. შეიცვალა სახელმძღვანელოების შემუშავების სისტემა; შეიცვალა სახელმძღვანელოებიც ყველა საგანში (ამ ეტაპზე გარდა მეხუთე, მეექვსე კლასებისა). მნიშვნელოვანი პროგრესია სკოლების ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივ, რაც გულისხმობს სკოლების უზრუნველყოფას გარემონტებით და ახალი ინვენტარით. სკოლებში მასიურად შევიდა კომპიუტერები და დაიწყო მთელი სისტემის ინტერნეტიზაცია.

ახალი შინაარსისა და მიდგომების შესაბამისად, შემუშავდა მასწავლებლების მიმართ ახალი მოთხოვნები. შეიქმნა პროფესიული სტანდარტები, რომლებიც მოიცავს პედაგოგიური მიდგომების ცოდნას, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების მიმართ მოთხოვნებს. შემუშავდა მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა. შემუშავდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემა, რაც ასევე სატრენინგო პროგრამების ხარისხის მართვას გულისხმობს აკრედიტაციისა და შემდგომი მონიტორინგის გზით.

შეიქმნა მონაცემებზე დაყრდნობით პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტები. ასევე, შეიქმნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS), რომელიც წელიწადში ორჯერ აგროვებს საბაზისო სტატისტიკურ მონაცემებს სკოლების შესახებ. სისტემა გამოითვლის განათლების ძირითად ინდიკატორებსაც. ჩატარდა კვლევები მოსწავლეთა სასწავლო შედეგების შესახებ, რომელთა მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოსწავლეების მიღწევების შესახებ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდა სკოლების აკრედიტაციის სისტემა, რომელიც გულისხმობს სკოლების ფუნქციონირების შესახებ საჭირო მონაცემების შეგროვებას. 2004-08 წლები შესაძლოა ჩაითვალოს განათლების სისტემის დაგეგმვისა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ეტაპად. ამავ წლებში დაიწყო ამ სისტემის გარკვეული ნაწილების იმპლემენტაცია. ყველაზე ადრე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნასთან ერთად, განათლების დეცენტრალიზაციისა და დერეგულაციის სისტემური ცვლილება დაიწყო მის კვალდაკვალ დაიწყო სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაწყებული პროცესების უმეტესობა ჯერ არ მისულა იმ ეტაპამდე, როდესაც მათი შედეგების შეფასება იქნებოდა შესაძლებელი. სკოლების თვითმმართველობის დანერგვის ფორმალური ეტაპი არ დასრულებულა, რადგან სკოლების უმეტესობას ჯერ არ ჰყავს არჩეული დირექტორი. ასევე, სკოლების გარკვეული ნაწილი ჯერ არ ფლობს რეალურ ფინანსურ ავტონომიას, იმის გამო, რომ მათთვის ვაუჩერული დაფინანსების ნაწილი არ არის საკმარისი ბიუჯეტის დაგეგმვისას სამეურვეო საბჭოების როლის რეალიზებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმის სრულად დანერგვას ყველა კლასში კიდევ ორი წელი სჭირდება. მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა ჯერ მზადების პროცესშია. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემა რამდენიმე თვეა, რაც ფუნქციობს. აკრედიტაციის პროცესის დაწყების თარიღები ჯერ საჯაროდ არ გამოცხადებულა; მისი მიზნების შესახებ საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის ჯერ აზრთა სხვადასხვაობაა. არ დასრულებულა სკოლების ინფრასტრუქტურის საბაზისო გაუმჯობესების პროცესი. სკოლების ინტერნეტიზაცია სკოლების ჯერ კიდევ მცირე

ნაწილს შეეხო.

საქართველოში ჩატარებული კვლევები არ გვაძლევენ უფლებას, დავასკვნათ, რომ საქართველოს მოქალაქეები ხარისხიან განათლებას იღებენ. სტატისტიკურად, ჩვენი მოსწავლეების დიდი ნაწილი მრავალი სხვა ქვეყნის თანატოლებს ჩამორჩება საბაზისო უნარებში, როგორებიცაა წიგნიერება, რაოდენობრივი აზროვნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. განათლების ხარისხის მიმართ კრიტიკას საზოგადოებასთან ერთად განათლების სისტემის პოლიტიკის დამგეგმავები და განმახორციელებელნიც გამოთქვამენ. სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, სულ უფრო მეტად ჩნდება საზოგადოებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების სურვილი, რაც განათლების პოლიტიკის სწორედ ამ მიმართულებით კონცენტრირების მოლოდინს აჩენს.

იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ მიმართულებით პოლიტიკის დაგეგმვა, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას ვგულისხმობთ განათლების ხარისხში, რა განაპირობებს განათლების ხარისხს, როგორ არის შესაძლებელი ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და რა ვითარება გვაქვს ამ მიმართულებით საქართველოში.

### **რა არის განათლების ხარისხი?**

სისტემის სხვადასხვა აქტორს განათლების ხარისხის შესახებ შესაძლოა სხვადასხვა წარმოდგენა ჰქონდეს. პოლიტიკის ზოგიერთი დამგეგმავისთვის განათლების ხარისხი რაოდენობრივი მონაცემებით იზომება. ზოგიერთი მშობლისთვის განათლების ხარისხის მთავარი ინდიკატორი მისი შვილის მოტივაციაა. ზოგიერთი სკოლის დირექტორისთვის სწავლების ხარისხს მისი სკოლის მოსწავლეების მიერ სკოლის გარეთ მიღებული შეფასებები გამოხატავს. ზოგიერთისთვის სწავლის ხარისხი მხოლოდ კოგნიტურ უნარებს უკავშირდება. ზოგისთვის, უფრო მნიშვნელოვანია იდეოლოგიის გავრცელება მოსწავლეებში. ზოგისთვის ხარისხი იზომება ინსტრუქციების ზედმიწევნით შესრულების მზადყოფნითა და უნარით.

იმისთვის, რომ პოლიტიკის დაგეგმვა შესაძლებელი იყოს, მნიშვნელოვანია არსებობდეს შეთანხმება, თუ როგორ განვმარტავთ განათლების ხარისხს საქართველოში. იმის გამო, რომ საქართველოს განათლების სისტემა სულ უფრო მეტად ერთვება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემებში, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული ხარისხის დეფინიცია გასაგები

და ადეკვატური იყოს საერთაშორისო დეფინიციებთან მიმართებაშიც.

პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ განათლების ხარისხზე საუბრისას ფოკუსი კეთდება მოსწავლეების მიერ მიღებული განათლების ხარისხზე და არა სისტემის ფუნქციონირების ხანდახან ბუნდოვან პარამეტრებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მიდგომა ხარისხის მიმართ, განათლების ფილოსოფიის, სწავლისა და სწავლების თეორიების გათვალისწინებით შეირჩეს. სწავლის ხარისხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რას ნიშნავს სწავლა.

ბიჰევიორისტული პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, სწავლა არის პასუხი იმ გარეგან სტიმულებზე, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლის ქცევის ფორმირება ხდება. სწავლა ამ პერსპექტივიდან არის მოსწავლის მიერ იმის ათვისება, რაც მისთვის კონკრეტულ მომენტში მისი ქცევის სტიმულირების მეშვეობით ხდება ცნობილი და გაშინაგებული. განათლების ბიჰევიორისტული პარადიგმის ფარგლებში მოსწავლეები, უმეტესად, ერთგვაროვან ჯგუფად განიხილება, რომლებსაც ასევე ერთგვაროვანი სტიმულები სჭირდებათ. ამ პერსპექტივასთან კონტრასტში, კონსტრუქტივისტული მიდგომა სწავლის მიმართ მოსწავლის მიერ წინასწარი ცოდნის, მოტივაციის, წინასწარი კულტურული და სოციალური გამოცდილების გათვალისწინებით საკუთარი ცოდნის აგებას გულისხმობს. ეს მიდგომა ითვალისწინებს ავტონომიურობასა და ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**იმისთვის, რომ პოლიტიკის დაგეგმვა შესაძლებელი იყოს, მნიშვნელოვანია არსებობდეს შეთანხმება, თუ როგორ განვმარტავთ განათლების ხარისხს საქართველოში.**

ამ დოკუმენტის ფარგლებში სამუშაო დეფინიციად შეგვიძლია შემდეგი აღწერა მივიჩნიოთ: განათლების ხარისხი არის მოსწავლეების ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობის მიმართება ჩვენ მიერ დასახულ მიზნებთან. ამ დეფინიციით, რამდენადაც ახლოსაა მოსწავლის მიღწევები ჩვენს იდეალებთან, მით უფრო მაღალია განათლების ხარისხი. ეს დეფინიცია ინსტრუმენტულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების შეფასებისას და ასევე ხარისხის დეტერმინანტების გასარკვევად.

**რატომ არის მნიშვნელოვანი განათლების ხარისხი?**

განათლების ხარისხზე დამოკიდებულია ის მიზნები, რომელზეც შეთანხმებულია საზოგადოება. ხანდახან ეს ბანალური, მაგრამ მივიწყებული მიზნებია: საზოგადოების მიერ ინოვაციების დანერგვის ინტენსიფიკაცია, ახალი ტექნოლოგიების შექმნა და გამოყენება. ინდივიდუალურ დონეზე განათლების მაღალი ხარისხი იმის წინაპირობაა, რომ პიროვნება უფრო ხანგრძლივად სწავლობს, რაც მისი, შედარებით, მაღალი შემოსავლებისა და, შესაბამისად, ცხოვრების დონის განმაპირობებელია.

ცნობილია, რომ მაღალი ხარისხის განათლება მნიშვნელოვნად განიცდის რეპლიკაციას. ისინი, ვისაც მაღალი ხარისხის განათლება აქვთ, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ საკუთარი შვილების განათლებას. შესაბამისად, ვიღებთ ე.წ. ხარისხის შემკვიდრებობითობას. განათლების მაღალი ხარისხი წინაპირობაა იმისთვისაც, რომ უკეთესად გვემის ჩვენი შვილების განათლების ხარისხი; ეს კი განაპირობებს ჩვენს სურვილებს საგანმანათლებლო პროგრამების არჩევისას. განათლების მაღალი ხარისხი განაპირობებს საზოგადოებრივი სიკეთის სიჭარბესაც. განათლების მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოება უფრო მეტად არის სოციალურად ორიენტირებული, რაც სხვა სიკეთებთან ერთად საყოველთაო განათლების სისტემის გაუმჯობესების ერთ-ერთი წინაპირობაა.

**ხარისხის კვლევის საერთაშორისო გამოცდილება**


განათლების ხარისხის კვლევებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ძირითადად, ეკონომიკური წარმოების ფუნქციის შეფასების მოდელი ედო საფუძვლად. ეს მოდელი გარკვეულ მსგავსებას ხედავდა ჩვეულებრივ ინდუსტრიულ წარმოებასა და საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციობას შორის. მთავარი აქცენტი კეთდებოდა დანახარჯებზე (inputs). ითვლებოდა, რომ დანახარჯების სწორი შერჩევა განაპირობებდა, როგორც პროცესს, ისე ამ პროცესის შედეგებსაც. ეს სისტემა, ძირითადად, სწავლისა და ქცევის ბიჰევიორისტულ გაგებაზე იყო დაფუძნებული. კვლევები, ძირითადად, იმას სწავლობდა, თუ როგორ განაპირობებს მასწავლებელზე, სახელმძღვანელოზე, სხვა საგანმანათლებლო რესურსებზე, ინფრასტრუქტურაზე დახარჯული ფინანსების ხარისხი და ოდენობა განათლების ხარისხს. ამ მიმართულებით მრავალი ასეული კვლევა ჩატარებული როგორც განვითარებად

ქვეყნებში, ისე ევროპასა და ამერიკაში. 1980-იანი წლებიდან განათლების მკვლევარებმა გადახედეს მრავალ ასეთ კვლევას და ნახეს, რომ დასკვნები განათლების ხარისხის შესახებ და მისი მთავარი დეტერმინანტების შესახებ არაერთგვაროვანი იყო. თუ ზოგიერთი კვლევა დაფინანსების ზრდისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას შორის დადებით კავშირს აჩვენებდა, სხვა კვლევები ამის საწინააღმდეგო შედეგებზე მიუთითებდნენ. თუ ზოგიერთი კვლევის მიხედვით მასწავლებლების განათლებას აქვს მნიშვნელობა მოსწავლეთა მიღწევებზე, სხვა კვლევები ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლეოდნენ.

განათლების ხარისხის კვლევის საწარმოო მოდელზე დაფუძნების არაეფექტურობამ საფუძველი დაუდო სკოლების ეფექტურობის კვლევების ახალ ტალღას. ახალი ტალღის მკვლევარებისთვის განათლების ხარისხის შესასწავლად მნიშვნელოვანი არა მხოლოდ დანახარჯებია (მაგალითად, დრო, ფინანსები, ადამიანური რესურსები), არამედ კონტექსტი და

მოსწავლეების ინდივიდუალური პროფილი. კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სკოლის კულტურა, მოსწავლის უსაფრთხოება, სკოლისა და ოჯახების წარმოდგენები სოციალურ იდეალებზე და სხვა. ინდივიდუალურ პროფილში მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად მოიაზრება ისიც, თუ ვინ არიან მოსწავლის მშობლები, რა სოციალური წარმომავლობის არიან ისინი. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლის სწავლის სტილი, ინტელექტუალური მიდრეკილებები და სხვა ახალი ტალღის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ განათლების ხარისხის კვლევისას შესაძლებელია შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა ისეთმა ფაქტორებმა იქონიონ, როგორცაა თანატოლთა ურთიერთობა და სხვა.

ახალი მიდგომა განათლების სისტემის შემდეგ მოდელს დაეფუძნა (იხ. UNESCOს ანგარიშის მიხედვით შედგენილი ილუსტრაცია 1). შედეგებზე გავლენა აქვს როგორც კონტექსტს, ისე დანახარჯებსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამასთან, კონტექსტი ორმხრივ კავშირშია მოსწავლესა და დანახარჯებთან.



დანართი 1

**ხარისხის მონაცემები და მათი გააზრება საქართველოში**

შეთანხმება ხარისხის შესახებ საქართველოში ჯერჯერობით მკაფიოდ არ ჩამოყალიბებულა. თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებობს ამისთვის საჭირო მნიშვნელოვანი წინაპირობა. ეს არის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი. ამ დოკუმენტის გავრცელება რამდენიმე ეტაპზე მოხდა. დოკუმენტი შემუშავების სტადიაზე, გამოქვეყნდა და დაეგზავნა ყველა სკოლას. დოკუმენტის განხილვაში, ძირითადად, მასწავლებლები იყვნენ ჩართულები. ჩვენ არ ვიცით, რამდენად არის ცნობილი მშობლებისთვის ეს მიზნები.

ამ მიზნების ჩამონათვალი ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს თვალსაჩინო ადგილას არის დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენად აქვთ მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს გაცნობიერებული, თუ რასთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს განათლების ხარისხი. უნდა ითქვას ისიც, რომ გადაწყვეტილების მიღება და პოლიტიკის განმახორციელებელთა რიტორიკაში ნაკლებად ჩანს ამ მიზნებზე დაყრდნობა ან ამ მიზნებზე ორიენტირება. იშვიათია შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილების არგუმენტაცია საყოველთაოდ აღიარებულ მიზნებზე დაყრდნობით ხდება. პოლიტიკის დოკუმენტებიც იშვიათად აპელირებენ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე.

საერთო მიზნების გააზრების ნაკლებობა ხარისხის საერთო საზომის შემუშავებას ართულებს. ხარისხის შესახებ წარმოდგენებს ხშირად საერთო შეთანხმა კი არ ქმნის, არამედ ინსენტივების სისტემა, რაც ზოგჯერ განათლების პოლიტიკის მიზნების შესაბამისად არის შემუშავებული, მაგრამ ზოგჯერ სხვა მიზნების შესრულების გვერდით ეფექტად ყალიბდება. ასე რომ, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი, განათლების ხარისხის შესახებ წარმოდგენას ქმნის

ისეთი პოლიტიკის ინსტრუმენტები, როგორცაა სასკოლო ოლიმპიადები, აკადემიური მოსწრების თუ კონკურსების მიხედვით განაწილებული მატერიალური თუ სიმბოლური ჯილდოები (მედლები, კომპიუტერები). ხარისხის დადგენის მეორადი სისტემის მაგალითია ერთიანი ეროვნულ გამოცდები. ეს უკანასკნელი როგორც მშობლების და მოსწავლეებისათვის, ისე პოლიტიკის განმახორციელებელთა და დამგეგმავთა ნაწილისთვის წარმოადგენს ზოგადი განათლების სისტემის ხარისხის მაჩვენებელს; თუმცა, გამოცდების ეს სისტემა განსხვავებული მიზნებისთვის შეიქმნა.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა წელიწადში ორჯერ სკოლების სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოითვლება ძირითადი ინდიკატორები. შემუშავებულია სკოლის ეფექტურობის დადგენის ინდიკატორებიც, რომელთა მონაცემები ჯერ შეგროვებული და დამუშავებული არ არის. ეს მონაცემები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ძირითადად, ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხების გადასაწყვეტად, ასევე სკოლების შესარჩევად გარკვეული კვლევებისა და აქტივობებისთვის გამოიყენება. რამდენად გამოიყენება განათლების ინდიკატორები განათლების ხარისხის დასადგენად, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტები საქართველოში იშვიათად ასახავენ ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა კლასში დარჩენის მაჩვენებელი, მოსწავლეების რაოდენობის პროგნოზული მაჩვენებლები, განათლების ხარჯების ოდენობა მშპ-სთან მიმართებაში და ა.შ.

განათლების ხარისხის შესახებ ფრაგმენტულ, მაგრამ შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვან არსებულ ინფორმაციას საქართველოში წარმოადგენს მოსწავლეების შედეგების კვლევები. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ასეთი კვლევა 2003-2009 წლებში.

წელი	კვლევა	კვლევის მიზანი	კვლევის პოპულაცია
2003	ეროვნული შეფასება წიგნიერებაში	მოსწავლეების კითხვის უნარის გაზომვა	ქართულენოვანი სკოლების მე-5 კლასელები
2004	ეროვნული შეფასება მათემატიკაში	მოსწავლეების რაოდენობრივი აზროვნების ასპექტების გაზომვა	ქართულენოვანი სკოლების მე-5 კლასელები
2006	PIRLS	კითხვის უნარების შეფასება საერთაშორისო დონეზე	ქართულენოვანი სკოლების მე-5 კლასელები
2007	TIMSS	მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების ფარგლებში ცოდნისა და უნარების შემოწმება	ქართულენოვანი სკოლების მე-4 და მე-8 კლასები
2009	ეროვნული შეფასება წიგნიერებაში	მოსწავლეების კითხვის უნარის გაზომვა	ქართულენოვანი სკოლების მე-9 კლასი

ეს კვლევები კომპლექსურ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ რა სიტუაცია იყო და არის სტრუქტურული და შინაარსობრივი რეფორმის დაწყების მომენტში. საერთაშორისო კვლევის მონაცემები ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. შესაძლებელია მონაცემთა ბაზების ინტერნეტიდან ჩამოტვირთვა და მისი გამოყენება შემდგომი დამუშავებისთვის ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. მონაცემები აღწერილია პროფესიონალურად; ხელმისაწვდომია ბაზების გამოყენების ინსტრუმენტებიც. პრობლემური ის არის, რომ ეს კვლევები ნაკლებ ინფორმატიულია განათლების კონტექსტის, მოსწავლის პროფილისა და განათლების დანახარჯებთან მიმართებაში; პრობლემურია ის მეთოდოლოგიაც, რომლითაც 2003 და 2004 წლებში ჩატარებდა კვლევები; ეს კი ამცირებს მოპოვებული მონაცემების გამოყენებადობას.

განათლების ხარისხთან დაკავშირებით დასკვნების გასაკეთებლად ღირებულ ინფორმაციას სხვა ერთჯერადი კვლევები გვაწვდიან. ასეთია, მაგალითად, კვლევა მასწავლებლების არსებული და საჭირო რესურსების შესახებ. ასევე, ბევრის მომცემია კვლევა დეცენტრალიზაციის შესახებ. გარკვეულწილად, განათლების ხარისხის კვლევას სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევაც დაეხმარა. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირებისას ჩატარებული კვლევები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას მრავალ საინტერესო ფაქტორზე განათლების ხარისხთან მიმართებაში. ყურადსაღებ მონაცემებს გვაწვდის განათლების რეფორმის პროექტ *ილია ჭავჭავაძის* საბოლოო შეფასებისთვის განხორციელებული კვლევა. მნიშვნელოვანი იყო ასევე კვლევა ბავშვებზე ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც UNICEF-ის ინიციატივით ჩატარდა.

იშვიათია აკადემიური სფეროს მიერ განხორციელებული კვლევები საქართველოში განათლების ხარისხთან მიმართებაში. იშვიათია ის კვლევებიც, რომლებიც საქართველოში ექსპერიმენტულად შეისწავლის კონკრეტული მეთოდის ან ინტერვენციის ეფექტურობას განათლების ხარისხთან კავშირში. განათლების სამინისტროს პროგრამების განხორციელების შეფასებები არ ხორციელდება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი მონაცემების გამოყენება განათლების ხარისხის დასადგენად.

### **ხარისხის დეტერმინანტები**

განათლების ხარისხის დეტერმინანტების შესახებ საქართველოში ჩატარებული კვლევების სიმწირე საერთაშორისო გამოცდილების საფუძველიანი შესწავლის მნიშვნელობას აძლიერებს. ამ

საკითხთან მიმართებაში საერთაშორისო დონეზე მრავალი ასეული კვლევაა ჩატარებული. მათი ნაწილი კონკრეტული ინტერვენციების შედეგებს სწავლობს ხარისხის მხრივ. ნაწილი შედარებითი პერსპექტივიდან უყურებს იმ ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვანია განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ნაწილი რეტროსპექტულად აანალიზებს სხვა კვლევებს და მათ შედეგების სინთეზის საფუძველზე ცდილობს კანონ-ზომიერებებისა და კავშირების დადგენას.

**განათლების თანამედროვე მკვლევარების დიდი ნაწილი იმ აზრამდე მივიდა, რომ განათლების პოლიტიკის ეფექტის გაზომვა შესაძლებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით მხოლოდ კონკრეტული კონტექსტების გათვალისწინებით. მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ ცენტრალიზებული პოლიტიკების განხორციელება წარმატებული იყო განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მხოლოდ კონკრეტულ ადგილობრივ, სოციო-კულტურულ კონტექსტში.**

განათლების ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ დასკვნები ერთმნიშვნელოვანი არაა. კვლევებისა და მეთოდოლოგიური სირთულეების სიმრავლე ამ სფეროში ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემების მთელ სპექტრს გვთავაზობს. მრავალი ასეთი კვლევის შედეგის შეფასების შედეგად განათლების თანამედროვე მკვლევარების დიდი ნაწილი იმ აზრამდე მივიდა, რომ განათლების პოლიტიკის ეფექტის გაზომვა შესაძლებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით მხოლოდ კონკრეტული კონტექსტების გათვალისწინებით. მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ ცენტრალიზებული პოლიტიკების განხორციელება წარმატებული იყო განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მხოლოდ კონკრეტულ ადგილობრივ, სოციო-კულტურულ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ერთმნიშვნელოვანი მიზეზმედგობრივი კავშირებისა და, ზოგადად, კავშირების ინტენსივობის დადგენა, პრაქტიკულად, ვერ ხერხდება, მრავალი კვლევის შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ დეტერმინანტები, რომლებიც ხშირად განათლების ხარისხს განაპირობებენ. ეს დეტერმინანტებია:

- ა) მიზნების რელევანტურობა
- ბ) განათლების შინაარსის რელევანტურობა
- გ) დროის კარგად გამოყენება
- დ) სწავლების ეფექტური მეთოდები
- ე) შეფასება უკეთესი პრაქტიკისთვის
- ვ) რესურსების არსებობა

კვლევების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ფაქტორები მეტ-ნაკლები ეფექტის მატარებელია სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად, რესურსების ცვლილება (ვთქვათ, დაფინანსების ზრდა) უფრო დიდ ეფექტს იძლევა განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე - განვითარებულიში. სახელმძღვანელოების არსებობისა და გამოყენების ეფექტიც მსგავსია. დამატებითი დროის გამოყენება სწავლებისას და მცირერიცხოვანი კლასები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე სოციალურად დაუცველი მოსწავლეების განათლების ხარისხს ეხება.

ცნობილია, რომ განათლების ხარისხზე დადებითად მოქმედებს, როდესაც სკოლების ხარისხის კონტროლი ინტენსიურია და ამავდროულად მიზმიულია სკოლების გაუმჯობესების სისტემაზე. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სკოლებზე სახელმწიფოს მხრივ ზეწოლა, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია დახმარების სისტემის, ანუ ე.წ. ცოდნის ინფრასტრუქტურის არსებობა. სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებით, ცოდნის დამხმარე ინფრასტრუქტურის ფუნქციონა მოიცავს რჩევების მიცემის პროცესს, ტრენინგებს, განვითარებაზე მიმართულ აქტივობებს, კვლევასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

მასწავლებელზე, როგორც ხარისხის დეტერმინანტზე, შეიძლება ვიმსჯელოთ არა მხოლოდ მაღალ აკადემიურ შედეგებთან მისი კავშირით. კვალიფიკაცია, სტაჟი და ცოდნა ბევრს ნიშნავს მასწავლებლის, როგორც რესურსის, შესაფასებლად, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მათ მიერ მაღალი თვითეფექტურობის განცდა; აგრეთვე ის, თუ რამდენად მაღალია მათ მიმართ საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი. საგულისხმოა, აღინიშნოს, რომ იქ, სადაც მასწავლებლად გახდომა განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს, სწავლების შედეგები უფრო მაღალია.

**ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სკოლებზე სახელმწიფოს მხრივ ზეწოლა, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია დახმარების სისტემის, ანუ ე.წ. ცოდნის ინფრასტრუქტურის არსებობა.**

ხარისხის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია საზოგადოების და სკოლის ურთიერთობა. თუ სკოლისა და საზოგადოების სოციალური იდეალები ერთმანეთს არ ემთხვევა, სკოლას უჭირს მშობლების მხარდაჭერის მოპოვება. მშობლების ჩართვა ხშირად მნიშვნელოვნად ეხმარება სკოლას, რომ მოსწავლეებმა გაკვეთილები თვითნებურად არ გააცდინონ, აღიკვეთოს ძალადობა ან გაიზარდოს რესურსები.

სკოლაში განათლების ხარისხის დეტერმინანტია ასევე ადრეულ ასაკში ბავშვების სკოლისთვის მზაობა. სკოლამდელი აღზრდის პროგრამებში მონაწილეობა და ადრეული განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეების განათლების ხარისხს გვიანდელ პერიოდებში, როგორც კოგნიტური, ისე სოციალური უნარების თვალსაზრისით.

დაფინანსების მნიშვნელობა განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც განათლების დაფინანსება მცირეა. გარკვეული ზღვრის შემდეგ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს არსებული დაფინანსების ეფექტურ მენეჯმენტს, ვიდრე დაფინანსების მოცულობას. მნიშვნელობა აქვს საათების რაოდენობასაც, რომელსაც მოსწავლე წელიწადში სწავლობს. თუმცა ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია მხოლოდ სხვა კონტექსტუალურ ფაქტორებთან კომბინაციაში და არა თავისთავად. მაგალითად, საერთაშორისო სტანდარტებით, 850-1000 საათი წელიწადში დატვირთვის ოპტიმალური მინიმუმია. საქართველოს მოსწავლეების წლიური საშუალო დატვირთვა ამ მაჩვენებელზე მეტია, მაგრამ ეს მაღალი ხარისხის გარანტია ვერ არის.

ხარისხს განაპირობებს სკოლების ეფექტური მართვაც. სკოლები განსაკუთრებით წარმატებულები არიან განათლების ხარისხის მხრივ, როდესაც სკოლის მენეჯერებს ცვლილებების განსახორციელებლად ხელისუფლების მხარდაჭერა აქვთ, როდესაც სკოლებს აქვთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად ხარისხიანად ასწავლიან ისინი სისტემისა და სკოლის მიზნებთან მიმართებაში, როდესაც სკოლის ბაზაზე მმართველობა გამჭვირვალეა და არსებობს ჰორიზონტალური კავშირები სკოლებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად. სკოლები ხარისხს განსაკუთრებით მკვეთრად აუმჯობესებენ მაშინ, როდესაც საკუთარ წინსვლას რეგულარულად აფასებენ და როდესაც გაუმჯობესებაზე მუშაობა ყოველდღიური რუტინის ნაწილია. განათლების ხარისხს ის სკოლები ზრდიან, რომლებიც მიზანმიმართულად ქმნიან პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ შიდა ჯგუფებს და, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოსწავლეების განმავითარებელ შეფასებას აქცევენ. არსებობს კვლევები, რომლებიც ხარისხის გაუმჯობესებაში სკოლებს შორის კონკურენციის როლს ადასტურებს. იქ, სადაც კონკურენცია მაღალია, განათლების ხარისხი იმატებს. ეს ხდება განსაკუთრებით იქ, სადაც სკოლა შეუძლიათ აირჩიონ, სადაც სკოლებში ვაუჩერების სისტემებია, ხოლო სკოლებს შორის

კონკურენცია რეალურია სკოლების საკმარისი რაოდენობისა და მოსწავლეების მობილობის შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

განათლების ხარისხის მაღალი მაჩვენებლით გამორჩეული ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ განათლების პოლიტიკის კონტინუიტეტი და გრძელვადიანი მდგრადობა, საზოგადოების მაღალი ინტერესი განათლების რეფორმის მიმართ და მკაფიოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ინტერესი და მაღალი ჩართულობა შეიძლება მნიშვნელოვანწილად განაპირობებდეს განათლების ხარისხს. განათლების პოლიტიკის მდგრადობა ყველგან პრობლემური საკითხია, რადგან განათლების რეფორმის ციკლი იშვიათად ემთხვევა პოლიტიკური გუნდის ცვლილების ციკლს, რაც ხშირად იწვევს მიზნებისა და განხორციელების გზების ცვლილებას. იმ შემთხვევაში, თუ მიზანი საზოგადოებისთვის მკაფიოა და მნიშვნელოვანი (საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობა, საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნება, რევოლუციის იდელებისთვის ბრძოლა, მაგალითად, როგორც კუბაში), მაშინ პოლიტიკის მდგრადობას ნაკლები საფრთხე ემუქრება, რადგან მიზანი მეტ-ნაკლებად სტაბილურია. ამავდროულად, მკაფიო მიზანი ხელს უწყობს საზოგადოების მიერ სწავლისა და სწავლების მიდგომების ცვლილებების მნიშვნელობის გაცნობიერებას.

## ხარისხის უზრუნველყოფა

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე საქართველოში პასუხისმგებლობა განაწილებულია სახელმწიფოსა და სკოლას შორის. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა განსხვავდება ხარისხის კონტროლის ან ხარისხის შეფასების სისტემისგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმაციის ფლობა შედეგების შესახებ, არამედ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების რუტინა და ფორმები, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემური ნაწილია. ხარისხის შემოწმების, მონიტორინგის, შეფასების სისტემების ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ მათი არასაკმარისი ორიენტირებულობა გაუმჯობესებაზე. სხვაობა მსგავსია სხვაობისა განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას შორის. მაშინ, როდესაც განმსაზღვრელი შეფასების (summative assessment) მიზანი იმის განაზღვრაა, თუ რამდენად ახლოს არის კონკრეტული მოსწავლე (ამ მაგალითში სკოლა) დასახული მიზანთან ან რამდენად ჩამორჩება სხვას, განმავითარებელი შეფასების (formative assessment)

მიზანი არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაუმჯობესების სტრატეგიების შეთავაზებაა.

საქართველოს განათლების სისტემა სკოლების განათლების ხარისხის უზრუნველყოფას რამდენიმე გზით ახორციელებს:

### ა) წახალისების სისტემა

სკოლების ვაუჩერული დაფინანსება იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სკოლებს შორის კონკურენციის საფუძველს ქმნის. ეს ეხება, ძირითადად, ურბანულ სკოლებს ანუ სკოლების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებს; თუმცა მოსწავლეების დაფარვის მხრივ სისტემის ამ ნაწილის მნიშვნელობა უფრო დიდია. ვაუჩერული დაფინანსებისას სკოლები ცდილობენ, მეტი მოსწავლე მოიზიდონ და ამ პროცესში საკუთარ თემთან მიმართებაში უფრო მეტად ანგარიშვალდებულები ხდებიან.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების ნაწილს წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისება წარმოადგენს; სწავლაში საუკეთესო შედეგების მქონეებს მედლებით აჯილდოებენ. მოსწავლეებს შორის ტარდება შეჯიბრებები (სასკოლო ოლიმპიადები), რომლებიც რეფორმის ადრეულ ეტაპზე ინოვაციური პროექტების შეფასების, ხოლო ამჟამად სხვადასხვა საგანში ტესტირების გზით ტარდება. პირველ ეტაპზე ოლიმპიადები ხელს უწყობდნენ სწავლების ფორმების გათანამედროვეობას და აქტიური მასწავლებლების წახალისებას. შემდგომ ეტაპზე კი მოსწავლეების წახალისება საგნობრივი ცოდნისა და უნარების ათვისების საფუძველზე ხდება და მიზნად უფრო ფართო ჩართულობას ისახავს.

### ბ) ხარისხის მაჩვენებლების კვლევა

ეს სისტემა გულისხმობს ზემოთ აღწერილი სკოლის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, ზოგადი ინდიკატორებისა და სკოლის წარმატებული ფუნქციონის ინდიკატორების კვლევას, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების ჩატარებას.

### გ) რესურსების გაუმჯობესების სისტემები

ადამიანური რესურსების ხარისხის უზრუნველყოფა მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემითა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი მომზადების პროგრამების ხარისხის რეგულირებით, მათი აკრედიტაციის გზით ხდება.

სასწავლო რესურსების ხარისხის უზრუნველყოფა სახელმძღვანელოების გრიფირებისა და გამოცემლობების შესაძლებლობათა გაუმჯობესების გზით ხდება. სახელმძღვანელოების ავტორები, რედაქტორები, დიზაინერები და გამომცემლები სახელმძღვანელოთა გასაუმჯობესებლად დახმარებას იღებენ რჩევების, შეფასებების, ტრენინ-

გების სახით.

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს სკოლების ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესს და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით შევსებას.

**დ) სკოლების შეფასებისა და დახმარების სისტემა**

ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში სკოლის დამხმარე სისტემა განათლების რესურს-ცენტრებია. ისინი ეხმარებიან სკოლებს, უკეთ გაერკვნენ საკანონმდებლო გარემოში და ინფორმაცია მიიღონ სხვადასხვა ინიციატივის, საგანმანათლებლო პროდუქტის ან სერვისის შესახებ. ზოგიერთ რესურს-ცენტრში სკოლების მენეჯერები მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას იღებენ. არაერთი რესურს-ცენტრი საკუთარი ინიციატივით აწყობს სკოლებს შორის შეხვედრებსა და სემინარებს, რითაც მათ შორის გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს.

სკოლების ლიცენზირების სისტემა დღევანდელ სისტემაში ქმნის საიმისო პირობებს, რომ სკოლის დაარსებისას დაცული იყოს სწავლისთვის საჭირო მინიმალური პირობები. საკანონმდებლო დონეზე ლიცენზირების სისტემას სკოლებში პირობების გადამოწმების უფლებაც აქვს.

სკოლებში ფინანსური და ადმინისტრაციული პრობლემების გამოსავლენად გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექცია. ინსპექცია, ერთი მხრივ, გეგმურ შემოწმებებს ახორციელებს, მეორე მხრივ, კონკრეტული პრობლემების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას ახდენს იმ სკოლებში, რომლებითაც დაინტერესებულია მოცემულ მომენტში სახელმწიფო და საზოგადოება. ეს ღონისძიებები განათლების ხარისხზე პირდაპირ ორიენტირებული არ არის, მაგრამ ირიბად შეიძლება გავლენას ახდენდეს.

სკოლების აკრედიტაციის სისტემა, რომლის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაშია, სხვადასხვა კუთხით თითოეული სკოლის ფუნქციონის ინდივიდუალურ და დეტალურ შეფასებას და მათთვის სასარგებლო რეკომენდაციის შემუშავებას გულისხმობს. აკრედიტაციის სისტემა გამიზნულია, ერთდროულად როგორც შემოწმებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის ნაწილი; მან სკოლებს სასწავლო და მენეჯერული პროცესების გაუმჯობესებაში უნდა შეუწყოს ხელი. აკრედიტაციის სისტემის ამოქმედების ვადები საჯაროდ არ გამოცხადებულა. ასევე არ არსებობს შეთანხმება აკრედიტაციის მიზნებთან დაკავშირებით. პოლიტიკოსების ნაწილს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ აკრედიტაციის სისტემა ხარისხის შემოწმების

სისტემა და არა უზრუნველყოფის. ამ პოლიტიკოსების აზრით ამან შესაძლოა სკოლების პასუხისმგებლობის და შესაბამისად მასწავლებლების შფოთის დონის ამაღლებას შეუწყოს ხელი. ამ შთაბეჭდილებების შედეგია, რომ აკრედიტაციის პროცესის დაწყება ჭიანჭურდება.

**ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემები და რეკომენდაციები**

ზოგადი პრობლემა ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებაში უკავშირდება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სისტემის მიმართ მოძველებული მოდელების გამოყენებას. დღეს მეტი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარი დანახარჯების ხარისხის გაუმჯობესებასა და შედეგების კვლევას, ვიდრე პროცესის წარმართვის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომებსა და კონტექსტუალური ცვლილებების ინიცირებას. თუ განათლების ბიუჯეტის მუხლებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რომელიც შედეგების შემოწმების მიზნით შეიქმნა, ცამეტჯერ მეტი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე აკრედიტაციის ცენტრს, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდეს. საზოგადოებრივი განწყობებიც შესაბამისია. ასევე ძალიან დიდი მოცულობის თანხა იხარჯება დანახარჯების ხარისხის უზრუნველყოფაზე. მასწავლებლების ტრენინგები, სერტიფიცირება, სახელმძღვანელოების გაუმჯობესება და ეროვნული სასწავლო გეგმა ერთად აღებული გაცილებით უფრო მეტ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს მოიხმარს, ვიდრე განათლების პროცესების გაუმჯობესებაზე, კონტექსტუალური ცვლილებების განხორციელებაზე ორიენტირებული საქმიანობები. ამიტომ მნიშვნელოვნად გვესახება შემდეგი პრობლემებისა და შესაძლო რეკომენდაციების გათვალისწინება.

**ხარისხის შესახებ შეთანხმების მიღწევა**

საქართველოში შეთანხმება განათლების ხარისხის მაჩვენებლებზე არ არსებობს. ასევე გაურკვეველია, როგორ ხდება სახელმწიფოსა და სკოლის შიგნით განათლების ხარისხის გაზომვა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, რომ

- ა) სკოლამ და სკოლის საზოგადოებამ და განსაკუთრებით კი, მასწავლებლებმა და მშობლებმა იცოდნენ ზუსტად, თუ როგორ ხდება განათლების ხარისხის დადგენა გარე და შიდა აქტორების მიერ. ნათელი უნდა იყოს, თუ რა მექანიზმებით ხდება ამ ხარისხის კონტროლი და რა შედეგები მოაქვს ხარისხის დაბალ ან მაღალ მაჩვენებლებს ან მათ ცვლილებას დროში. ასევე

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის შემოწმების წინასწარ განსაზღვრული მკაფიო ვადები არსებობდეს. ხარისხის შემფასებლის პასუხისმგებლობა დეტალურად უნდა იყოს აღწერილი.

**ბ) სასკოლო საზოგადოებამ იცოდეს, რა ინდიკატორებით ხდება ხარისხის შემოწმება.** იმ ინდიკატორის დასადგენად, რომელიც ზომავს დანახარჯებს და შედეგებს, კონტექსტის გავლენისა და მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში რეგულარულად (წელიწადში ერთხელ მაინც) მშობლებთან შეხვედრები ჩატარდეს. თუ სკოლა დიდია, შესაძლოა შეხვედრა მოეწყოს მცირე ჯგუფებში, ვთქვათ, დამრიგებლების დონეზე, თუ მცირეა - სასურველია საერთო შეხვედრების მოწყობა. ამ დროს სკოლა სკოლის საზოგადოებას განათლების ხარისხთან მიმართებაში დადგენილი გარე და შიდა კრიტერიუმების/მაჩვენებლების გამოყენებით ანგარიშს ჩააბარებს.

**გ) სკოლის ფარგლებში შესაძლოა მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის სემინარები გაიმართოს,** სადაც მოხდება განათლების ხარისხის ამაღლების სტრატეგიების დასახვა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. სტრატეგიაზე მუშაობა უნდა გულისხმობდეს დათვლადი ინდიკატორების შედეგების გაუმჯობესებაზე მუშაობას.

### **მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა**

დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში საკმაოდ სუსტი მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა არსებობს. ყველაზე ახლოს სკოლებთან ფიზიკურად და სტრუქტურულადაც განათლების რესურს-ცენტრებია. რესურს-ცენტრის არეალი მრავალ სკოლას მოიცავს; რესურს-ცენტრების მანდატი და ადამიანური და მატერიალური რესურსები კი შეზღუდულია. რესურს-ცენტრების თანამშრომლებს არ აქვთ მკაფიო დაწერილი ინსტრუქციები, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ სკოლებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში. რესურს-ცენტრის თანამშრომლების ცვალებადობა პრობლემას უქმნის მათი შესაძლებლობების მდგრადობას. სახელმწიფოს მიერ რესურს-ცენტრების თანამშრომლების განვითარებაზე დახარჯული რესურსები ხშირად გულისხმობს ერთი და იმავე უნარებისა და ცოდნის მიწოდებას ერთი და იმავე რესურს-ცენტრის ფარგლებში ცვლილებების გათვალისწინებით.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას დამატებითი ინფრასტრუქტურა. რომლის მთავარი მიზანი სკოლების დახმარება იქნება განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიდგომები ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით იყოს მიზამიმართული კონკრეტულ საჭიროებებზე. მნიშვნელოვანია, რომ ინფრასტრუქტურა იყოს დივერსიფიცირებული და მოიცავდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორს. ეს მიდგომა შესაძლოა გულისხმობდეს:

**ა) ადგილობრივ და ვირტუალურ (ინტერნეტის მეშვეობით) კერძო საკონსულტაციო სერვისების განვითარებას;**

სახელმწიფომ შესაძლოა პროგრამულად დააფინანსოს ის ინიციატივები, რომლებიც დაეხმარება კონკრეტულ სკოლებს გაზომვადი შედეგების გაუმჯობესებაში.

**ზოგადი პრობლემა ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებაში უკავშირდება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სისტემის მიმართ მოძველებული მოდელების გამოყენებას. დღეს მეტი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარი დანახარჯების ხარისხის გაუმჯობესებასა და შედეგების კვლევას, ვიდრე პროცესის წარმართვის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომებსა და კონტექსტუალური ცვლილებების ინიცირებას.**

**ბ) ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობისა და შესაძლებლობათა გაზრდას;** მნიშვნელოვანია, რომ სკოლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლებას და მათგან მიიღონ კვალიფიციური დახმარება. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლება ინფორმირებული უნდა იყოს იმის თაობაზე, თუ როგორია მათ სამოქმედო არეალში არსებული სკოლების განათლების ხარისხი. განათლების ხარისხის რაიონული მონაცემების გამოქვეყნებით შესაძლებელია ცენტრალურმა ხელისუფლებამ გარკვეული მორალური პასუხისმგებლობაც დააკისროს ადგილობრივ ხელისუფლებას. პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების როლი საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში გაიზარდოს. შესაძლოა თავდაპირველ ეტაპზე ეს მხოლოდ ინფრასტრუქტურის, კურიკულუმისა და ადამიანური რესურსების შესახებ დამატებითი რესურსების გამოყოფისა და განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებებს გულისხმობდეს, შემდგომში კი უკვე ძირითად პროცესებში მონაწილეობის გაზრდასაც.

ამ მიზნით შესაძლებელია დაარსდეს რეგიონული განათლების საბჭოები, სადაც გაერთიანდებიან ცენტრალური, ადგილობრივი ხელისუფლების,

არასამთავრობოების, ბიზნესის წარმომადგენლები. ეს შესაძლოა იყოს შუალედური რგოლი, რომელიც იზრუნებს ლოკალური პრობლემების გადაჭრაზე, იქნება ეს სკოლების დირექტორების შერჩევა სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება, თუ შრომითი დავების გადაწყვეტა. ეს სტრუქტურა შესაძლოა მონაწილეობდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ფინანსების განკარგვაშიც. შესაძლოა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს საბჭო დააფინანსოს იმის გათვალისწინებით, თუ რა ხარისხის მაჩვენებლები იქნება მის სამოქმედო არეალში.

**გ) ჰორიზონტალური კავშირების გაძლიერება;** მნიშვნელოვანია რესურს-ცენტრების ან სკოლების უფრო მცირე ჯგუფების არაფორმალური გაერთიანების ბაზაზე შეიქმნას სკოლებისა და პროფესიული განვითარების ქსელები. ამ ქსელების მთავარი მიზანი უნდა იყოს განათლების ხარისხის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

**დ) სკოლების ინფორმირებულობის გაზრდა;** სკოლებმა რომ წარმატებით იფუნქციონ, მათ მხარდაჭერის ინფრასტრუქტურამ ისეთი ინდიკატორები უნდა მიაწოდონ, რომლებიც სკოლებს საკუთარი ადგილის განსაზღვრაში დაეხმარება ქვეყანაში არსებული ხარისხის დონესა და იდეალებთან მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სქემის ფარგლებში, თითოეული სკოლის დონეზე განათლების ხარისხის შესახებ ობიექტური მონაცემები უნდა არსებობდეს. ეს მონაცემები უნდა იყოს მრავალმხრივი და მნიშვნელოვანად სცილდებოდეს მხოლოდ მოსწავლეთა შედეგებს კოგნიტური მიღწევების შესახებ (ანუ ტესტირებებით მიღებულ ინფორმაციას) და მოიცავდეს პროცესთან და კონტექსტთან დაკავშირებულ ხარისხის მაჩვენებლებს. ეს მონაცემები არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ სასკოლო გამოსაშვები გამოცდების მონაცემებს, რადგან ეს გამოცდები ვერანაირად ვერ ასახავს სკოლის წარმატება/წარუმატებლობას საჭირო სისრულით.

**ე) სკოლის ლიდერების მხარდაჭერას.** მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა, უპირველესად, სკოლების ადმინისტრაციისთვის ხარისხის გასაუმჯობესებლად მკაფიო პოლიტიკურ მხარდაჭერას უნდა ეფუძნებოდეს. იგულისხმება მკაფიო მხარდაჭერა არა იმდენად კონტროლსა და მოვლა-პატრონობაში, არამედ სკოლის დონეზე პროცესების ტრანსფორმაციაში. ყველა სკოლაში მასწავლებლების მუშაობის შეფასების მექანიზმი უნდა არსებობდეს. სკოლის მენეჯერს უნდა ჰქონდეს მკაფიო მხარდაჭერა პოლიტიკური

ლიდერებისა და საზოგადოებისგან, მასწავლებლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების და ახალი მასწავლებლების რეკრუტირების საკითხებში. მენეჯერებს მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ იმაშიც, რომ გაიუმჯობესონ საკუთარი ცოდნა.

### **სკოლების პასუხისმგებლობის ზრდა ხარისხთან მიმართებაში**

დღეს სკოლებს არ აქვთ სახელმწიფოს მიმართ ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობა განათლების შედეგებზე. შესაბამისი ინსტრუმენტების არარსებობის პირობებში სკოლები მოქმედებენ ძველ პარადიგმაში, სადაც რეგლამენტირებული პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განათლების შედეგები. თუ სკოლა ფორმალურად ზუსტად ასრულებს მითითებებს, ანუ, იცავს ეროვნული სასწავლო გეგმით მითითებულ საათებს, იყენებს სათანადო სახელმძღვანელოებს, აწარმოებს დოკუმენტებს, ანაწილებს ხელფასებს, სახელმწიფო ვერ თხოვს მას პასუხს განათლების ხარისხსა და განათლების შედეგებზე.

ეროვნული თუ საერთაშორისო შეფასებები, რომლებიც ტარდება საქართველოში 2003 წლიდან, მონაცემებს აწარმოებს სისტემის, მაგრამ არა ყველა სკოლის შესახებ. ამ მონაცემების გამოყენება შესაძლებელია სისტემის პოლიტიკის შესამუშავებლად, შესაფასებლად და განსახორციელებლად, მაგრამ შეუძლებელია მათი გამოყენება კონკრეტული სკოლის გასაუმჯობესებლად. უნდა გაიზარდოს თითოეული სკოლის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ამისათვის საჭიროა:

**ა) აკრედიტაციის სისტემის ამოქმედება** იმ რისკების გათვალისწინებით, რაც სკოლის შიგნით თუ პოლიტიკურ წრეებში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უკავშირდება. ეს გულისხმობს, პირველ რიგში, მონაცემების შეგროვებას, შემდეგ ამ მონაცემების ანალიზს. ეს ეხება როგორც კონკრეტულ სკოლას, ისე მთელ სისტემას. არსებითი ნაწილი ამ აკრედიტაციისა არის, აკრედიტაციის მონაცემებზე დაყრდნობით, სკოლების კონსულტირება გაუმჯობესების გზების შესახებ.

**ბ) სკოლებში განათლების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაცია მეტად იყოს ხელმისაწვდომი.** ეს გულისხმობს იმ რისკების გათვალისწინებას, რაც შეიძლება მოჰყვეს სკოლების პასუხისმგებლობის გაზრდას (მაგალითად, რისკის ქვეშ მქონე მოსწავლეების სკოლიდან გარიყვა და ა.შ.). ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი საჯაროობა მაინცდამაინც არ გულისხმობს სკოლების რეიტინგების შედგენას. აქ უფრო მხედველობაში გვაქვს სკოლის ანკეტა, რომელშიც აღწერილი იქნება ხარისხის მხრივ სხვაობა სკოლის

მიღწევებსა და სახელმწიფოს იდეალურ მაჩვენებელს შორის ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნება, როგორც სკოლის შიგნით არსებული საზოგადოებისთვის, ისე გადაწყვეტილების მიმღებებთან და მკვლევარებისთვის.

**სახელმწიფოს მიერ ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირება და დაგეგმვა**

გადაწყვეტილების მიმღები ორგანიზაციების მიერ, განათლების ხარისხის შესახებ მონაცემების რეგულარული ანალიზი შემდგომი დაგეგმვის მიზნით საქართველოში იშვიათად ხდება. ინფორმაცია, რომელიც EMIS-ის, საერთაშორისო და ადგილობრივი შეფასებების, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სხვადასხვა კვლევის შედეგად გროვდება ნაკლებად გამოიყენება გრძელვადიანი დაგეგმვისთვის, რაც ასევე ნაკლებად აისახება სახელმწიფოს მხარდაჭერილ პროგრამების შინაარსზე და მათი დაფინანსების მოცულობაზე.

სახელმწიფოს იშვიათად აქვს იმის შესაძლებლობები, რომ შიდა ადამიანური რესურსების მეშვეობით განავითაროს ექსპერიმენტული მიდგომები განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ეხება სწავლების მეთოდოლოგიების განვითარებას, ინტერვენციების შემუშავებასა და განვითარებას და ა.შ. იმის გამო, რომ ცვლილებები განათლების ხარისხის მხრივ ძალიან კონტექსტუალურია (ის, რაც ერთი ტიპის სკოლაში მუშაობს, არ მუშაობს სხვაგან), საჭიროა, რომ ინტერვენციებიც სკოლებში ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კონტექსტზე და მოსწავლეზე იყოს მორგებული. ამის მისაღწევად საჭიროა:

**ა) სახელმწიფომ საქართველოს რეალობაში სხვადასხვა ინტერვენციისა და მათი ეფექტურობის კვლევების წახალისებაზე იმუშაოს.** ეს გულისხმობს როგორც პირდაპირ კვლევით შეკვეთებს კონკრეტული ინტერვენციის გამოცდის მიზნით, ისე კონკურსებს საუკეთესო ინტერვენციების შესამუშავებლად.

**ბ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აუცილებლად უნდა ატარებდეს საკუთარი ინტერვენციებთან დაკავშირებულ კვლევებს.** ამის ერთ-ერთი, შესაძლოა ნაწილობრივ ეფექტური მაგალითია მსოფლიო ბანკის პროექტი *ოლა ჭავჭავაძის* საბოლოო შეფასება. ასეთი კვლევები ინტერვენციების განმეორების შემთხვევაში წინა გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას ქმნის; გარდა ამისა, ის ეხმარება ინსტიტუციური მეხსიერების ჯანსაღი სისტემის არსებობას.

**გ) უნდა გაიზარდოს დაგეგმვის პროცესში ლოკალური ინტერესების გათვალისწინება.**

განათლების ხარისხის გაუმჯობესების ცენტრიდან განხორციელებული დანახარჯების ეფექტურობა მაღალია უმთავრესად იქ, სადაც დაგეგმვაში ბენეფიციარებიც მონაწილეობენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში სკოლის ან რესურს-ცენტრის დონეზე შესაბამისი ფინანსური და შინაარსობრივი მხარდაჭერით გამყარებული ხარისხის გაუმჯობესების გეგმა არსებობდეს. შესაძლებელია, რომ შედეგი რესურს-ცენტრების ან რეგიონების დონეზე ხარისხის გაუმჯობესების სპეციალური ფონდების შექმნამ მოიტანოს. ეს ფონდები შესაძლებელია განათლების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდეს, მაგრამ მისი განკარგვა უნდა მოხდეს ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაძლებელია ცენტრალურმა ხელისუფლებამ გარკვეული რესურსები დაახმაროს ადგილობრივებს გადაწყვეტილებების იმგვარად მიღებაში, რასაც ექსპერტიზა ექნება გავლილი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებების გათვალისწინებით. როგორც ზემოთ ითქვა, შესაძლოა შეიქმნას ადგილობრივი საბჭოები, რომელთა მმართველობაში ჩართული იქნებიან სკოლის, ადგილობრივი ხელისუფლების, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს სისტემა დაეხმარება ხარისხის შესახებ საერთო ენის შემუშავებას და ხარისხზე მიმართული საქმიანობების სტიმულირებას.

**დ) უნდა შემუშავდეს ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებლობა იქნება გრძელვადიანი და არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფზე გათვლილი.** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გარკვეული რეგულარობით უნდა გამართოს შიდა და შესაძლოა უფრო ფართო (მაგალითად, პარლამენტის, დონორების, ინტერესთა ჯგუფებისა და აკადემიური წრეების ჩართვით) შეხვედრები სამუშაო ვითარებაში, სადაც განათლების ხარისხის პროგრესი იქნება განხილული. ასეთი შეხვედრები უნდა გაიმართოს აუცილებლად შემდეგი წლის პროგრამების დაგეგმვის წინ, ანუ საბიუჯეტო დაგეგმვის ადრეულ ფაზაში. ამ შეხვედრებზე მნიშვნელოვანია, რომ მსჯელობა მიმდინარეობდეს სტრატეგიის დოკუმენტზე დაყრდნობით, ხარისხის შეთანხმებული მაჩვენებლების შესაბამისად და განიხილებოდეს კონკრეტული მიდგომების ეფექტურობა და შესაძლო ინტერვენციები წინა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

**ე) მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პროცესის სტიმულირებასთან დაკავშირებულ პროგრამებს.** სახელმძღვანელოების ხარისხი გაცილებით ნაკ-

ლებად განაპირობებს განათლების ხარისხის ზრდას, ვიდრე სახელმძღვანელოთა ხელმისაწვდომობა. ეს ერთი მაგალითია იმის, რომ ფოკუსირება შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს პროცესის წარმართვაზე, ვიდრე რესურსების მიმართვა დანახარჯების წინასწარი ხარისხის კონტროლზე.

იგივე შეიძლება ითქვას, მასწავლებლებთან მიმართებაშიც. მასწავლებლების მომზადება მნიშვნელოვნად განაპირობებს სწავლის ხარისხს, მაგრამ სკოლაში დაგვიანება, დროის არაეფექტურად გამოყენება ან მოტივაციის ნაკლებობა, ასევე, არანაკლებ აზარალებს მოსწავლეებს. ამიტომ მასწავლებლებს უნდა შეექმნათ სხვადასხვა

მოტივაცია წარმართული პროცესების ცვლილებების მხარდასაჭერად, პირველ რიგში სკოლის დონეზე; ეს შეიძლება გულისხმობდეს ბონუსების სისტემას, მასწავლებლების ეფექტურობის შეფასების სისტემების დანერგვას და სხვა.

პროცესის სტიმულირების პროგრამები უნდა გულისხმობდეს ინოვაციური პრაქტიკის დანერგვასაც. მაგალითად, სასკოლო ოლიმპიადები შესაძლოა ნაკლებად იყოს ორიენტირებული ინფორმაციის დამახსოვრებაზე და უფრო ინფორმაციის ანალიზს, კრიტიკული აზროვნების გამომუშავებასა და შემოქმედებითობის განვითარებას გულისხმობდეს.

**წინამდებარე პოლიტიკის ანგარიშზე შეგიძლიათ კომენტარი გააკეთოთ  
კავკასიური ინსტიტუტის შესაბამის ბლოგზე.**

**ბიბლიოგრაფია**

1. ზოგადი განათლება საქართველოში, პრიორიტეტები და მიმართულებები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2007.
2. ჯანაშია ს. Et.al. *ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევები, 2005-07*. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2007.
3. *სკოლის სახელმძღვანელოების და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საგანმანათლებლო რესურსების ბაზრის შესწავლა*. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2009.
4. *Consolidated Education Strategy and Action Plan (2007-2011)*. Ministry of Education and Science. Tbilisi. 2007.
5. *Evaluation of the "Ilia Chavchavadze Project in Reforming and Strengthening Georgia's Schools.*, Ministry of Education and Science. 2007.
6. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.
7. Fraenkel, J.R, Wallen, N. E. *How to design and evaluate research in education*. McGraw-Hill. 2006.
8. *Education For All Global Monitoring Report 2005 – The Quality imperative*. UNESCO. 2005
9. Hopkins D. *School improvement for real*. Routledge/Falmer. London, NY. 2001.
10. Hargreaves, D., Hopkins, D. *Development Planning for School Improvement*. London, Cassell. 1994.
11. Hanushek, E. A., Kain, J. F., Rivkin, S. G. *Do Higher Salaries Buy Better Teachers?* Cambridge, MA, National Bureau of Economic Research. (NBER Working Paper 7082, April). 1999.
12. Hanushek, E. A. „Interpreting Recent Research on Schooling in Developing Countries“. *World Bank Research Observer*, Vol. 10, No. 2, August: 227–46. 1995.
13. Hanushek, E. A.. „The Failure of Input-based Schooling Policies“, *Economic Journal*, Vol. 113, No. 485, February: 64–98. 2003.
14. Fullan, M., Watson, N. „School-Based Management: Re-conceptualizing to Improve Learning Outcome“. *School Effectiveness and School Improvement*, Vol. 11, No. 4: 453–73. 2000.
15. McDonnel, L.M. „Opportunity to Learn as a Research Concept and a Policy Instrument , Educational Evaluation and Policy Analysis“. Vol. 17, No. 3. The Leigh Burstein Legacy (Autumn, 1995), pp. 305-322 .

### ინსტიტუტის ბოლო გამოცემები

- ჯავახეთი აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ
- განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შეფასება
- საქართველოს განათლების სისტემის რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები: რეკომენდაციები პოლიტიკის შესამუშავებლად
- შრომითი მიგრაცია საქართველოდან და ორმხრივი შრომითი ხელშეკრულებები: პერსპექტივები და საჭიროებები
- რამდენად შეიცვალა მსოფლიო? გავლენა ქართულ პოლიტიკაზე
- საქართველოს სატყეო სექტორი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული მოწყობა: სამოქალაქო საზოგადოების ხედვა
- მედია-სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში
- მედია (ზე)მოქმედებაში
- 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ: რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში 2004-2007

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დამოუკიდებელი, საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე კვლევითი ცენტრია. ინსტიტუტი დაფუძნდა თბილისში 1992 წელს. კავკასიური ინსტიტუტი ასრულებს კვლევით სამუშაოებს, ამზადებს და გამოსცემს სხვადასხვა პუბლიკაციას, აწყოებს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს. ინსტიტუტის კომპეტენცია განსაკუთრებით მაღალია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობი და სამოქალაქო ინტეგრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, მედია, პოლიტიკური პარტიები, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და უსაფრთხოების სექტორის რეფორმები.

**მისამართი:** აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო  
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო  
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54  
ელ-ფოსტა: [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org);  
[www.cipdd.org](http://www.cipdd.org)